აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

2021 წლის 25 მარტის საბჭოს

№9 დადგენილება

I. დამტკიცდეს ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოცხადებული (ბრძანება №01-04/14, 22.02.2021 წ) შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების პირველადი შეფასების შედეგები (საკონკურსო კომისიის 2021 წ. 25 მარტის სხდომა № 1):

1. მოიხსნას პროფესორ ნიკოლოზ ჩიხლაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი საკონკურსო საგრანტო პროექტი განხილვიდან, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის დებულებით“ გათვალისწინებული მეორე მუხლის მესამე პუნქტის** (სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №193) მოთხოვნის საფუძველზე;
2. ასოც.პროფესორი გოდერძი შანიძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი საგრანტო პროექტის **(იმერეთის რეგიონში მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები - აგრარულ სფეროში და მისი გამოყენება ტურისტულ სექტორში)** საშუალო შეფასება - 15,3 ქულა;

3. პროფესორ თამილა არნანია-კეპულაძის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი პროექტის (***COVID-19 და შრომის ბაზრის თანამედროვე გამოწვევები)*** საშუალო შეფასება - 22,17 ქულა.

II. დაევალოს დეკანს, საკითხს მისცეს შემდგომი მსვლელობა.

საფუძველი: შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის შემფასებელი კომისიის ოქმი №1 და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის 25 მარტის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილება.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარე, პროფ: **/ნანა შონია/**